

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599480626

15/06/2016

N 333

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 15 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "მეტი ქალი პოლიტიკაში" სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №2– 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,
ნონა მურვანიძე



თავმჯდომარე

ფრაქცია "ქალები პოლიტიკაში"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“
სხდომის ოქმი №2

ქ.ლანჩხუთი

10.06.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე.
ფრაქციის წევრი: მოადგილე ელისო ჭიჭინაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ ახალი წევრის გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი ნონა მურვანიძე/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ ახალი წევრის გაწევრიანებასთან დაკავშირებით სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა ომარ გოგიჩაიშვილმა გამოთქვა სურვილი ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ გაწევრიანების თაობაზე. ის მხარს უჭერს საკრებულოს წევრის ომარ გოგიჩაიშვილის გაწევრიანებას და იმედს გამოთქვამს, რომ ფრაქციას კიდევ არაერთი წევრი შეემატება, რაც ფრაქციის გამძლიერებას და შემდგომში ერთობლივად ბევრ სასიკეთო საქმის გაკეთებას შეუწყობს ხელს.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ განმარტა, რომ მიესალმება საკრებულოს წევრის ომარ გოგიჩაიშვილის გაწევრიანების სურვილს და აღნიშნა: ბატონმა ომარმა დაინახა რომ „მეტი ქალი პოლიტიკაში“ წევრი ქაბატონები არიან ძალიან აქტიურები, აქვთ მრავალი კარგი იდეა განსახორციელებელი ალბათ, ამიტომაც გამოთქვა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ბატონი ომარი თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე აქტიურად ჩაერთვება ფრაქციის მუშაობაში.

ფრაქციის თავმჯდომარემ ნონა მურვანიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“
თავმჯდომარე:



ნონა მურვანიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "მეტი ქალი პოლიტიკაში" წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

15 ივნისი 2016 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ნონა მურვანიძე	11 ¹⁰	
2	დარეჯან ბურჭულაძე		
3	ელისო ჭიჭინაძე	11 ¹⁰	